მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი №13

ქ. მარტვილი 03 სექტემბერი, 2018 წელი

სხდომა დაიწყო 13^{00} სთ-ზე დამთავრდა 15^{00} სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ალექსი გაბისონია, ალექსანდრე ახვლედიანი, ზურაბ მელიავა, რამაზ ხურცილავა, თორნიკე ჯანაშია, გიორგი გაბუნია, ლაშა ქობალია, ლევან სურმავა, ელდარ თოდუა, გიორგი რუხაია, რომან ფონიავა, ირინა გადელია, კობა დარჯანია, ელიზბარ ახვლედიანი, დავით ბარამია, შალვა ბახია, ონერი კუჭავა, გოგი ბასილაია, გოჩა ლაშხია, ზაზა რუხაია, ირაკლი ჯამბურია, დათო ხელაია, გიზო ხარებავა, მიხეილ ნაჭყებია.

ასევე ესწრებოდნენ მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე დავით სურმავა, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ ბონდო თოფურია, საკრებულოს აპარატის თანამშრომლები, ადგილობრივი მედიის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები.

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი გაბისონია.

მოისმინეს 1: სხდომის თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით გააცნო სხდომის მონაწილეებს.

სხდომის თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ სთხოვა დამსწრე საკრებულოს წევრებს აზრი გამოეთქვათ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ზურაბ მელიავამ აღნიშნა, რომ დღის წესრიგის მეორე საკითხი ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, ოდენობების განსაზღვრისა და გადახდის წესის ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი არ არის სრულყოფილი, ვინაიდან დადგენილების პროექტის დადგენილებით დამტკიცებული №1 დანართის მე-4 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში არ არის მითითებული მოსაკრებლის ფიქსირებული ოდენობა, ამიტომ ითხოვა დღის წესრიგის პროექტის მეორე საკითხში შესწორების შეტანა, კერძოდ აღნიშნული დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის მერისთვის დაბრუნება, რასაც დაეთანხმნენ დამსწრე საკრებულოს წევრები.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე, რომელიც დამსწრე საკრებულოს წევრებმა მიიღო ერთხმად.

მომხრე 20, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 სექტემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგი მე-2 საკითხის ცვლილების გათვალისწინებით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 სექტემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 სექტემბრის №46 განკარგულება სხდომის ოქმს თან ერთვის./

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 სექტემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;
   /მომხსენებელი-ალექსი გაბისონია, საკრებულოს თავმჯდომარე/
2. ,,,,მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, ოდენობების განსაზღვრისა და გადახდის წესის ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შენიშვნებით მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის დაბრუნების თაობაზე;
   /მომხსენებელი-ალექსი გაბისონია, საკრებულოს თავმჯდომარე/
3. „მარტვილის მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მაისის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
   /მომხსენებელი-ალექსი გაბისონია, საკრებულოს თავმჯდომარე/
4. მარტვილის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების მეორე კვარტლის ანგარიშის მოსმენა და შეფასება.
   /მომხსენებელი-ალექსი გაბისონია, საკრებულოს თავმჯდომარე/
5. ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს სამსახურებისთვის 2018 წელს საწვავისა და საკომუნიკაციო საშუალებების ყოველთვიური ლიმიტების განაწილების შესახებ” მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №103 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
   /მომხსენებელი-ალექსი გაბისონია, საკრებულოს თავმჯდომარე/
6. სხვადასხვა

მოისმინეს 2: მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ალექსი გაბისონიას მოხსენება ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, ოდენობების განსაზღვრისა და გადახდის წესის ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22

დეკემბრის №60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტის შენიშვნებით მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის დაბრუნების თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი ინიცირებულია მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის მიერ (10.08.2018 წელი, №1697), რომელიც დაურიგდათ საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებს, განხილულ იქნა საკრებულოს ბიუროს სხდომაზე, მერის მიერ წარმოდგენილ პროექტში კონკრეტულად უნდა იყოს განსაზღვრული მოსაკრებლის ოდენობა.

სხდომის თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ სთხოვა დამსწრე საკრებულოს წევრებს აზრი გამოეთქვათ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ზურაბ მელიავამ აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტში დადგენილებით დამტკიცებული №1 დანართის მე-4 მუხლი არ არის სრულყოფილი, ვინაიდან მე-4 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში არა არის მითითებული მოსაკრებლის ფიქსირებული ოდენობა, ამიტომ ითხოვა აღნიშნული დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის მერისთვის დაბრუნება და კანონთა შესაბამისობაში მოყვანა.

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულომ იმსჯელა რა ზემოთაღნიშნულ საკითხზე და **გადაწყვიტა**:

,,,,მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, ოდენობების განსაზღვრისა და გადახდის წესის ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ინიცირებული დადგენილების პროექტი დაუბრუნდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს დადგენილების პროექტის პირველი მუხლის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით (დადგენილებით დამტკიცებული №1 დანართის მე-4 მუხლში მიეთითოს მოსაკრებლის ფიქსირებული ოდენობები).

მოისმინეს 3: მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ალექსი გაბისონიას მოხსენება „მარტვილის მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მაისის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი ინიცირებულია მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის ალექსანდრე გრიგალავას მიერ მ/წლის 13 ივნისს, რომელიც დაურიგდათ საკრებულოს კომისიებს და ფრაქციებს განსახილველად, ასევე მიღებულ იქნა დადგენილება 2018 წლის 2 ივლისის მორიგ სხდომაზე, რომელის ატვირთვაც ორი სამუშაო დღის ვადაში უფლებამოსილი პირის მიერ უნდა განხორციელებულიყო სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ნორმატიული აქტების მართვის სისტემაში შექმნილ დოკუმენტზე, რომელიც ვერ განხორციელდა. აღნიშნულთან დაკავშირებით საკრებულოს აპარატის

საქმისწარმოებისა და იურიდიული განყოფილების უფროსის ლელა კვესელავას მოხსენებითი ბართის თანახმად (მოხსენებითი ბართი თან ერთვის) სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ნორმატიული აქტების მართვის სისტემაში (https://publish.matsne.gov.ge/doc:portal/) შექმნილ დოკუმენტზე პროგრამის შაბლონში აიტვირთა დადგენილება, შესრულდა შესაბამისი ვიზირებები, მაგრამ ვერ განხორციელდა საკრებულოს თავმჯდომარის ხელმოწერა, ვინაიდან მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2 ივლისის მდგომარეობით არ გააჩნდა კვალიფიციური ელექტრონული შტამპი, რადგან კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერთიფიკატი გაიცემა სააგენტოში განაცხადის წარდგენიდან 20 სამუშაო დღის ვადაში, აქედან გამომდინარე ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ გვექნებოდა კვალიფიციური ელექტრონული შტამპი. მისი განმარტებით აღნიშნულთან დაკავშირებით დახმარებისთვის მიმართეს სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს იურისტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსს, ასევე ზედამხედველობის სამსახურის უფროსს, მათი განმარტებით არ შეეძლოთ ჩვენი დახმარება, ვინაიდან კანონი ამოქმედდა 2018 წლის 1 ივლისიდან და ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მთელი რიგი მუნიციპალიტეტები.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ზემოთ მოყვანილი სიტუაციიდან გამომდინარე საკითხის ხელახლა გატანა მოგვიწია დღევანდელ საკრებულოს სხდომაზე (საკრებულოში უკვე განხორციელდა სისტემის ტექნიკური გამართვა).

სხდომის თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე, რომელიც დამსწრე საკრებულოს წევრებმა მიიღეს ერთხმად.

მომხრე 20, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე კენჭი ეყაროს „მარტვილის მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მაისის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტს წარმოდგენილი სახით.

/„მარტვილის მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მაისის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 3 სექტემბრის №24 დადგენილება სხდომის ოქმს თან ერთვის/

მოისმინეს 4: მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ალექსი გაბისონიას მოხსენება მარტვილის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების მეორე კვარტლის ანგარიშის მოსმენა და შეფასება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი, თანახმად საქართველოს კანონის ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 85-ე მუხლის შესაბამისად მეორე კვარტლის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში ინიცირებულია მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის მიერ(27.07.2018 წელი N1544), რომელიც დაურიგდათ საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებს განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ სთხოვა დამსწრე საკრებულოს წევრებს აზრი გამოეთქვათ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ზურაბ მელიავამ, რამაზ ხურცილავამ, რომლებმაც მარტვილის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების მეორე კვარტლის ანგარიში შეაფასეს დამაკმაყოფილებლად.

სხდომის თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

მომხრე 19, წინააღმდეგი 0, თავი შეიკავა 2.

დაადგინეს: მარტვილის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების მეორე კვარტლის ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების მეორე კვარტლის ანგარიშის მოსმენა და შეფასების თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 ივნისის №47 განკარგულება სხდომის ოქმს თან ერთვის./

მოისმინეს 5: მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ალექსი გაბისონიას მოხსენება ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს სამსახურებისთვის 2018 წელს საწვავისა და საკომუნიკაციო საშუალებების ყოველთვიური ლიმიტების განაწილების შესახებ” მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №103 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვინაიდან მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილისათვის სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად გადაცემული ავტოსატრანსპორტო საშუალება HONDA CRV, სახელმწიფო ნომრით GAM-900 (საწვავის ტიპი ბენზინი) შესაბამისი სამსახურების მეშვეობით გადაეცა მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიას, ხოლო იგი სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად გამოიყენებს კუთვნილ ავტოსატრანსპორტო საშუალებას (საწვავის ტიპი დიზელი) აქედან გამომდინარე განსახორციელებელია ცვლილება საწვავის განაწილების ლიმიტებში, კერძოდ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილისათვის განკუთვნილი საწვავის ტიპი ,,ბენზინი“ უნდა შეიცვალოს საწვავის ტიპი ,,დიზელით’, რასაც დაეთანხმნენ საკრებულოს წევრები.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე, მომხრე 20, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს სამსახურებისთვის 2018 წელს საწვავისა და საკომუნიკაციო საშუალებების ყოველთვიური ლიმიტების განაწილების შესახებ” მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №103 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტი ცვლილების გათვალისწინებით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს სამსახურებისთვის 2018 წელს საწვავისა და საკომუნიკაციო საშუალებების ყოველთვიური ლიმიტების განაწილების შესახებ” მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №103

განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 სექტემბრის №48 განკარგულება სხდომის ოქმს თან ერთვის./

ბოლოს სხდომის თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ საკრებულოს წევრებს გააცნო პირის მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის ანგარიში და ,,2018 წლის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ადმინისტრაციული რესურსების თავიდან აცილების მიზნით გასატარებელი ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს №1744 განკარგულება, რომელიც დაურიგდათ საკრებულოს თანამდებობის პირებს.

/კომისიის თავმჯდომარის რობერტ კოტიას მ/წლის 7 აგვისტოს №20 წერილით შემოტანილი პირის მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის ანგარიში სხდომის ოქმს თან ერთვის./

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ალექსი გაბისონია